# ხელშეკრულება 407

ქ. ზუგდიდი 06 “ ნოემბერი” 2015წ.

შ.პ.ს.„ზუგდიდექსპერტიზა” მისი დირექტორი ზურაბ ბერულავას სახით შემდგომში „შემსრულებელი“ ერთის მხრივ და მეორეს მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმნის საჯარო სკოლა მისი დირექტორი ნინო ცხადაიას სახით შემდგომში “დამკვეთი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი და შესრულების ვადები.

1.1 “დამკვეთი” ავალებს , ხოლო შემსრულებელი კისრულობს ჩაატაროს შემდეგი სახის მომსახურება: სკოლის ბალანსზე რიცხული საპრფარეშოს შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა CPV 71300000

1.2 მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება: 2015 წლის 06 ნოემბრიდან 2015 წლის 06 დეკემბრამდე.

## 2. მხარეთა მოვალეობები და უფლებები.

2.1 „შემსრულებელს“ უფლება აქვს ჩააბაროს დასრულებული სამუშაო, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

„შემსრულებელი“ ვალდებულია ტექნიკური დოკუმენტაცია მოამზადოს სამ ეგზემპლარად და მომსახურების ვადის ბოლოს, ორი ეგზემპლარი ჩააბაროს „დამკვეთს“.

## 3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1 მომსახურების ღირებულება: 100(ასი) ლარის ოდენობით დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

3.2 მომსახურების ღირებულების დაფარვა „დამკვეთმა” უნდა მოახდინოს „შემსრულებლის“ მიერ სამუშაოს შესრულებიდან (მომსახურეობის ჩაბარებიდან) 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა.

4.1 ნებისმიერ მხარეს შეუძლია წინასწარ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტს.

4.2 „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულების შეჩერების შემთხვევაში იგი ვალდებულია „შემსრულებელს“ აუნაზღაუროს სახელშეკრულებო თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

4.3 „დამკვეთის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის იგი „შემსრულებელს“ პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ვადაზე გადაუხდელი თანხის 1 %-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

4.4 „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „დამკვეთთან“ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

## 5  ფორს-მაჟორული გარემოებები.

5.1 შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან, მხარეები თავისუფლდებიან თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს- მაჟორული გარემოებით,კერძოდ: ომით, ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით ან სხვა სტიქიური უბედურებით, თუ ამ გარემოებებმა უშუალოდ გავლენა მოახდინა ხელშეკრულების შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადატანა ფორს-მაჟორული გარემოების შეწყვეტამდე. გარემოების ზემოქმედების შესახებ მხარეებმა ერთმანეთს უნდა აცნობონ მათი დადგომიდან 10 დღის განმავლობაში

## 6  .დავის გადაწყვეტა.

6.1 მხარეებს შორის სადავო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

## 7.  დამატებითი პირობები.

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.
7.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

**„შემსრულებელი“**

შ.პ.ს. „ზუგდიდექსპერტიზა“
ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №93
ს/კ №220002128

„სს ლიბერთი ბანკის“ სამეგრელოს რეგიონალური ფილიალი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა № GE93LB0113140929712000

დირექტორი
ზ. ბერულავა

**” დამკვეთი”**

სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმნის საჯარო სკოლა

ს/კ 220373824

დირექტორი
ნ. ცხადაია

მიღება – ჩაბარების აქტი №29

ზუგდიდი 10 ნოემბერი 2015 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ,ერთის მხრივ შპს ზუგდიდექსპერტიზა მისი დირექტორის ზურაბ ბერულავას სახით (შემდგომში შემსრულებელი), ხოლო მეორეს მხრივ სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმნის საჯარო სკოლა (შემდგომში დამკვეთი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ცხადაიას სახით , ვადასტურებთ რომ შემსრულებელმა დამკვეთს გაუწია, ხოლო დამკვეთმა მიიღო ექსპერტიზის აქტი რაც გათვალისწინებული იყო 2015 წლის 6 ნოემბერს დადებული № 407 ხელშეკრულებით , რომლის ღირებულება შეადგენს 100(ასი) ლარს.

| დამკვეთი: | შემსრულებელი: |
|---|---|
| სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალაბასთუმნის საჯარო სკოლა | შპს ზუგდიდექსპერიზა |
| დირექტორი: ნინო ცხადაია | დირექტორი: ზურაბ ბერულავა |